



საქართველოს უნივერსიტეტი
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა
ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

თეა მეშველიშვილი

**ოსმალეთის იმპერიის და ანგორის მთავრობის
ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან 1917-1921
წლებში**

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის
სადისერტაციო მაცნე

(კვალიფიკაციის კოდი: 0222.1.1 ისტორია)

თბილისი

2024

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ისტორიის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ზურაბ ბატიაშვილი
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელი

სალიპ უჩაქი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შიდა ექსპერტი

გიორგი სორდია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მოწვეული ექსპერტი:

როინ ყავრელიშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

მოწვეული ექსპერტი:

ზაზა წურწუშია,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

საბჭოს თავმჯდომარე

ცირა ჩიკვაძე
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

საბჭოს წევრი

ლალი ფირცხალავა
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის. 8 აპრილს, 15.00 საათზე.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, #519-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაში, თბილისი, კოსტავას ქ.# 77ა, საქართველოს

უნივერსიტეტის IV კორპუსი.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2024 წლის 23 თებერვალს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ნათია მანჯიკაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა:

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ოსმალეთისა და ანგორის მთავრობის ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან 1917 – 1921 წლებში. კვლევაში არის მცდელობა წარმოჩინდეს ოსმალეთის ცარისტულ რუსეთთან ურთიერთობის დინამიკა, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გეოპოლიტიკური პროცესების გავლენით ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობების ტრანზფორმაცია და როგორ მოხდა ამ ურთიერთობების უკვე პარტნიორულ ჭრილში გადასვლა.

1913 წელს გადატრიალების შედეგად ოსმალეთის მთავრობის სათავეში ერთობისა და პროგრესის პარტია მოვიდა. ქვეყანას პარტიის სამი ლიდერი - ენვერ ფაშა, თალათ ფაშა და ჯემალ ფაშა მართავდა, „ახალგაზრდა თურქების“ ფაქტობრივი დიქტატურა დამყარდა. „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა პან-თურანული იდეებითა და დიდი თურანის აღდგენით იყო შეპყრობილი. 1917-1918 წლებში ოსმალეთის პოლიტიკაც სამხრეთ კავკასიაში ამ იდეის გარშემო ტრიალებდა. ოსმალეთმა სამხრეთ კავკასიაში, როგორც ტერიტორიების გაფართოება, ასევე გავლენის გაზრდა სცადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელის მიხედვით ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის საზღვარი სამი სანჯაყზე -ყარსი, არტანსა და ბათუმზე გადიოდა; „ითთიჰადისტებმა“ ახლო აღმოსავლეთში მუსლიმების დაცვისა და გაერთიანების მიზნით შექმნეს „ისლამის არმია“, რომელმაც ბაქოს აღებაც მოახერხა. 1918 წლებში საბჭოთა რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში გაძლიერდა. ბოლშევიკებმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება პირველი რიგის ამოცანად დაისახეს და მათი პირველი დარტყმა იყო ბაქოზე, რადგან ჩამოშლილი ეკონომიკის აღსადგენად ბაქოს ბუნებრივი რესურსები ბოლშევიკებისათვის მეტად მიმზიდველი იყო. საბჭოთა მთავრობის ინტერესები კი სრულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის ინტერესებს რეგიონში. ინტერესების ეს

დაპირისპირება 1918 წლის 30 ოქტომბრამდე გაგრძელდა, მუდროსის დროებითი ზავის დადების შემდეგ ანტანტის სახელმწიფოების მიერ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების დანაწილება მოხდა. ანატოლიაში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ფაშა.

1919 წლის ზაფხულში წამოწყებული მოლაპარაკებები ბოლშევიკებსა და თურქ ნაციონალისტებს შორის წლის ბოლოს და 1920 წლის დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდა. მოლაპარაკებები მეტწილად ბაქოში მიმდინარეობდა და საბჭოთა მხრიდან დახმარების მიღებას ორი დაჯგუფება ითხოვდა - მუსტაფა ქემალ ფაშას წარგზავნილი ოფიცრები და ყარაქოლის წევრები. მუსტაფა ქემალ ფაშამ მომგებიანი სვლა გააკეთა და მოქმედებების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით ეს ორი დაჯგუფება ერთ ორგანიზაციაში გააერთიანა. 1919 წელს დაწყებულმა ამ ერთეულმა შეხვედრებმა საფუძველი ჩაუყარა დიდ კავშირს, რომელიც ორმხრივი ინტერესებით იყო განპირობებული და ბოლშევიკებისათვის მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გავრცელების კონცეფციაში სრულად ჯდებოდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ორივე მხარისათვის მომგებიანი იყო. ეს ალიანსი საბედისწერო აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის. სამხრეთ კავკასია იყო იმპერიალისტების წინააღმდეგ გაერთიანებული თურქი ნაციონალისტური მთავრობისა და საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული გარიგების ერთ-ერთი საფუძველი. ამ ერთობამ განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ბედი. ამ ალიანსის შედეგად, 1921 წელს დასრულდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოება.

საკვლევი თემის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს დამოუკიდებლობის წლებთან დაკავშირებულ ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსმალური დოკუმენტების თუ თურქი საჯარო მოხელეების მემუარული ნაშრომების სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სიმწირით. ჩვენ შევეცადეთ კომპლექსურად წარმოგვეჩინა ქემალისტებსა და საბჭოთა მთავრობის შორის ურთიერთობები

პირველადი წყაროების ჭრილში და, ამგვარად, წინა პლანზე გამოგვეტანა არა ინტერპრეტირებული მოვლენები, არამედ, ფაქტები, რომლის საფუძველზეც მოხდა ჩვენი ჰოპოთეზების გამყარება.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

1. რა ფაქტორებმა და ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა თურქი ნაციონალისტებისა და საბჭოთა რუსეთის ალიანსი;
2. ამ ალიანსმა რა გეოპოლიტიკური გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების დამოკიდებულება და შეხედულებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
3. ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების ურთიერთობის ჭრილში სამხრეთ კავკასიის საზღვრების ცვლილებების დინამიკა;
4. საბჭოთა მთავრობისა და ანგორის მთავრობის ინტერესების წარმოჩენა და შეპირისპირება;

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა

საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს როგორც თურქულ სამეცნიერო ბრუნვაში არსებული, ასევე, თურქულ არქივებში დაცული და შემდგომ კრებულად გამოცემული (გენერალური შტაბის და თურქეთის ეროვნული მეჯლისის მიერ) დოკუმენტები, 1917-1921 წლებში გამოცემული პერიოდული გამოცემები (Tercüman ı Hakikat, Vaki,t Tasvir-i Efkâr, Hakimiyet i Milliye)ნაშრომში გამოყენებულია განხილული პრობლემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები:

კვლევის მეცნიერული სიახლე უკავშირდება თემის აქტუალურობას. სადისერტაციო ნაშრომში წარმოჩენილია კრებულების სახით გამოცემული ოსმალური საარქივო მასალები, მემუარული ნაშრომები, პერიოდული გამოცემები, რაც სადისერტაციო ნაშრომს მნიშვნელობას

განსაზღვრავს. შევეცადეთ გამოგვეყენებინა თურქულ სამეცნიერო ბრუნვაში არსებული საარქივო დოკუმენტები და აღმოგვეჩვენა საქართველოს დამოუკიდებლობის წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი.

კვლევის შედეგები შემდეგია:

1. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთისთვის სახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა და სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერებით 1877-1878 წწ. არსებული სტატუს-კვოს დაბრუნება სცადა;
2. 1917 -1918 წლებში ოსმალეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა და გაძლიერება დაიწყო, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის საზღვართან ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება დადგა;
3. მუდროსის დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ დაუძღვრებულ და ანტანტის სახელმწიფოების მიერ დანაწევრებულ ოსმალეთში გამოჩნდნენ პატრიოტული ძალები, რომელთაც გააჩაღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელი იყო მეკავშირის პოვნა, რომელთანაც თურქ ნაციონალისტებს საერთო ინტერესი ექნებოდათ და სამხედრო დახმარების პირობასაც მიიღებდნენ. ამ მხრივ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი საუკეთესო პარტნიორი აღმოჩნდა;
4. თურქი ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების საერთო ინტერესები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლის პერსპექტივაში ერთმანეთთან თანხვედრაში იყო. საბჭოთა რუსეთისთვის ოსმალეთის პან-ისლამური იდეოლოგიის რევოლუციურ კონტექსტში გარდაქმნა და ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - როგორც საკუთარი იდეოლოგიის - გავრცელების კარგი პერსპექტივა იყო. ამგვარად, საერთო ამოცანებზე კონცენტრირების შემდეგ იდეოლოგიურმა განსხვავებებმაც

მეორე პლანზე გადაინაცვლა და ორ ძალას შორის ალიანსი შედგა;

5. ქემალისტური მთავრობა საბჭოთა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, რადგან ანგორის მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დარგვირგვინება და ქვეყნის ინტერესების დაცვა იყო, ამიტომ, საბჭოთა რუსეთმა მარტივად მოახერხა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება;
6. ქემალისტური თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ალიანსი გეოპოლიტიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული და გრძელვადიან პერსპექტივაში სეკულარულ თურქეთსა და კომუნისტურ საბჭოთა რუსეთს შორის პარტნიორობა იდეოლოგიურად რადიკალური განსხვავებების გამო წარმოუდგენელი იყო.

კვლევის მეთოდები:

სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, ჩვენი ჰიპოთეზების გასამყარებლად ვიყენებთ დისკრიფციულ მეთოდს და ისტორიულ მოვლენათა ინტერპრეტაციის მეთოდს. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება ჩვენ დაგვხმარა:

1. წარმოგვეჩინა ბოლშევიკთა და თურქ ნაციონალისტთა ალიანსის მიზეზები ისტორიულ კონტექსტში;
2. დაგველაგებინა ისტორიული ფაქტები სისტემურად და არგუმენტირებული მსჯელობით გაგვეკეთებინა დასკვნები;
3. ოსმალური და საბჭოთა წყაროების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა არგუმენტირებული შეხედულებები;

დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შევძელით ისტორიული ფაქტებისა და წყაროების ინტერპრეტაცია და საკუთარი დასკვნების ფორმულირება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს 1917-1921 წლებში ოსმალეთისა და ანგორის მთავრობისა და ბოლშევიკური რუსეთის ურთიერთობის დინამიკის გამოკვლევას, ამიტომ შესაძლებელია მისი საქართველოს დამოუკიდებლობის წლების ისტორიის მკვლევასებისთვის გამოსაყენებლად. ნაშრომი დახმარებას გაუწევს მკვლევარებს, რომლებიც მუშაობენ ამ პერიოდზე, ასევე, ვისაც სურს წარმოადგენა ჰქონდეს 1918-1921 წლებში ქემალისტებსა და ბოლშევიკების ურთიერთობის შესახებ.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 139 გვერდს და შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

ნაშრომის შესავალში წარმოჩენილია საკვლევი თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ჰიპოთეზები, ჩამოყალიბებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები.

I თავი - ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე მოხდა იმ ძირითადი მიმართულების ლიტერატურის განსაზღვრა, რომელსაც ეყრდნობა კვლევა და დაგეგმვარა ჩვენი ჰიპოთეზების განმტკიცებაში.

სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად ემყარება პირველად საისტორიო წყაროებს, რომელიც დაცულია თურქეთის გენერალური შტაბის არქივში, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის არქივში, გამოვიყენეთ მემუარული ლიტერატურა და პერიოდიკა. მოხდა ლიტერატურის სისტემატიზაცია, რომელიც დაიყო ოთხ ნაწილად: საარქივო მასალა, მემუარები, სამეცნიერო ლიტერატურა და პრესა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ძრითადი აქცენტი გაკეთდა მემუარულ ლიტერატურაზე, როგორც არის ეროვნულ-განმაავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის-ქიაზიმ ყარაბეჯირის, საბჭოთა რუსეთში ანგორის პირველი ელჩის, გენერალ ალი ფუად ჯებესოის მემუარული ნაშრომები. ჰიპოთეზების გასამტკიცებლად დაგვეხმარა მუსტაფა ქემალ ფაშას სიტყვით გამოსვლებისა და მიმართვების კრებულები, ასევე, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახანლო კომისრის, გიორგი ჩიჩერინის სიტყვით გამოსვლები და სტატიები. სადისერტაციო ნაშრომში დიდი ადგილი უკავია სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტების კრებულს, ასევე, საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტაციის კრებულებს. ოსმალეთისა და შემდგომ ანგორის ხელისუფლების სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკის შესწავლის, 1914 წლიდან ოსმალეთ-რუსეთის საზღვრების გარშემო პოლიტიკური დებატების უკეთ წარმოსაჩენად გამოვიყენეთ თურქეთის გენერალური შტაბის მიერ გამოცემული საარქივო დოკუმენტების კრებული. დიდი ეროვნული კრების დადგენილებებისა და საიდუმლო კრების ოქმების კრებულები, რომელიც მოიცავს 1920-1921 წლების პერიოდს. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული თურქულ ისტორიოგრაფიაში არსებული კვლევები, მიმოხილულია უცხოელი და რუსი მკვლევარების ისტორიოგრაფიული ბაზა.

თავი II - ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის დროს.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის ადგილი და როლი წარმოჩენილია რამდენიმე ქვეთავში და მოიცავს საერთაშორისო ვითარების მიმოხილვას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, წარმოჩენილია ის მიზეზები, რამაც განაპირობა პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის ჩართვა, პირველი თავის ერთ-ერთი ქვეთავი დათმობილი აქვს სომხური თემის საკითხს ოსმალეთში პირველი მსოფლიო ომის დროს, რადგან სომხური სეპარატიზმი, როგორც ცარისტული რუსეთისთვის, ასევე, საბჭოთა რუსეთისთვის იმპერიალისტური ზრახვების

განხორციელებისთვის კარგი იარაღი იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი აქტუალური გახდა. ცარისტული რუსეთის უმაღლეს წრეებში უკვე საუბრობდნენ, რომ დადგა კონსტანტინოპოლის აღების დრო. ცარისტულ რუსეთთან ერთად ბრიტანეთსა და საფრანგეთში აქტუალური იყო კონსტანტინოპოლის დაპყრობის ამბიციური გეგმაც. 1915 წლის მარტ-აპრილში საფრანგეთს, ბრიტანეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა მიმოწერა და პირისპირ შეხვედრები, რომელზეც მხარეები ცდილობდნენ სრუტეებზე და კონსტანტინოპოლის საკითხზე შეთანხმების მიღწევას. სიტუაცია შეიცვალა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, 1917 წელს, რა დროსაც ოსმალეთს შესაძლებლობა მიეცა გამოსულიყო ომიდან და შეენარჩუნებინა ტერიტორიები. რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოსული ბოლშევიკური მთავრობა უარს აცხადებდა ოსმალეთის დანაწილებაზე და მოითხოვდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას ზავის დადების მიზნით.

თავი III ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.

აღნიშნულ თავში მიმდინარეობს მსჯელობა რამდენიმე ჰიპოთეზაზე. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთს სურდა კავკასიაში გავლენის გაზრდა და საბჭოთა რუსეთის დასუსტება, რომელიც, თავის მხრივ, სომხურ სეპარატიზმს აღვივებდა და სომხეთისთვის მიწების გადაცემას ითხოვდა; ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ოსმალეთი ახერხებს ყველა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას; აღნიშნულ თავში გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს შესახებ ისტორიული დოკუმენტები, ასევე, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტები, რომელიც დაგვჩვენებს ჩვენი ჰიპოთეზების გამყარებაში. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კავკასიის ფრონტზე დღის წესრიგში დადგა სამშვიდო მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობა. ოსმალეთი მოლაპარაკებებს მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატთან. ოსმალეთის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ყარსის, არტაანის და

ბათუმის შემოერთებით ოსმალეთის გავლენა და ძალა კიდევ უფრო გაიზარდა. ტრაპიზონსა და ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად კავკასიის მთავრობის დაშინების და თავის მოთხოვნებზე დაყოლიების მიზნით, ოსმალეთმა საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო, რასაც ოსმალები მუსლიმ მოსახლეობაზე თავდასხმებისაგან დაცვით ამართლებდნენ და შედეგიც მიიღეს. ოსმალეთმა ჩრდილო-სამხრეთის საზღვარი სრულად თავის გავლენის ქვეშ მოაქცია.

IV თავი - ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 1918 წელს.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოსმალეთმა კავკასიაში დასახულ მიზანს მიაღწია. კავკასიის ფრონტის გაძლიერებით და ისლამის არმიის ჩამოყალიბებით, ოსმალეთი ცდილობდა სამხრეთ კავკასიის ბოლშევიკებისაგან დაცვას, რადგან ერთა მეგობრობისა და თვითგამორკვევის ლოზუნგს ამოფარებული საბჭოთა რუსეთი ისევე ლამობდა სამხრეთ კავკასიის დამოჩილებას, როგორც, თავის დროზე ცარისტული რუსეთი. სამხრეთ კავკასიის გასაბჭოების პროცესი ბაქოთი დაიწყო, იქ ბოლშევიკური პროპაგანდა საკმაოდ ძლიერი იყო და მუსავათის პარტიას საკმარისი ძალა არ შესწევდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია. საბჭოთა რუსეთის ბაქოში ექსპანსია ოსმალეთის მიზნებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ოსმალეთმა, პირველ რიგში, როგორც ერთი მოდგმის და ერთმორწმუნე აზერბაიჯანელების ბოლშევიკებისაგან დაცვის მოტივით, „პან-თურანული“ გეგმების განხორციელების მიზნით, შექმნა „ისლამის არმია“. გარდა, ამისა, ოსმალეთი აქტიურად მუშაობდა ბათუმის თავის საზღვრებში მოქცევაზე. მუსლიმ მოსახლეობაზე გავლენის მოხდების მიზნით რეფერენდუმი ჩაატარა, თითქოსდა მოსახლეობა ოსმალეთის იმპერიასთან შეერთებას ითხოვდა. ოსმალეთმა 1918 წლის 15 სექტემბერს ბაქოს აღებაც მოახერხა. ერთობისა და პროგრესის პარტიის წარმომადგენლების ფიქრობდნენ, რომ დიდი თურანის გეგმა თითქმის შესრულდა, თუმცა, ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყანას ძალა აღარ

შესწევდა ანტანტასთვის წინააღმდეგობა გაეწია და 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელი მოაწერა მუდროსის დროებით ზავს, რომლის მიხედვით ოსმალეთი ფაქტობრივად ანტანტის სახელმწიფოების მიერ იქნა დანაწილებული.

V თავი - თურქ ნაციონალისტებისა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკებების დაწყება.

თავში აღწერილი მიმდინარე მოვლენები თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების პერიოდს ეხება. პირველ ქვეთავში ჩვენი მიზანია დავადგინოთ ქემალისტ თურქებსა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკებებში ჩართული პერონალიების ვინაობები, წარმოვაჩინოთ მოლაპარაკებების დინამიკა. მეორე ქვეთავში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქემალისტებისა და ბოლშევიკების ალიანსის წინაპირობები. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მარქსიზმის იდეოლოგია ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებშიც გავრცელდა, 1918 წლიდან ასპარეზზე გამოჩნდნენ თურქი კომუნისტები. იქმნება სახალხო კომუნისტური პარტია, გამოიცემა გაზეთი „ახალი სამყარო“, რომელშიც იბეჭდება საბჭოთა მთავრობის მესვეურთა სიტყვით გამოსვლები. ამგვარად, ქემალისტებსა და ბოლშევიკების შეხვედრისთვის ნიადაგი, ფაქტობრივად, 1918 წლიდან უკვე მზადდება. ბოლშევიზმის იდეოლოგიის მიღება-არ მიღება დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა თურქ ნაციონალისტებში, ქემალისტებს შორის დიდი მსჯელობა მიმდინარეობდა, რამდენად მისაღები იყო და პასუხობდა წამოწყებული ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებს საბჭოთა რუსეთთან ალიანსი, ბოლშევიზმის გავრცელების საფრთხე რაოდენ რეალური იყო. ანატოლიის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ წითელი არმიის სამხრეთ კავკასიაში გადაადგილებებს. ამავე თავში აღწერილია 1920 წლის 26 აპრილის მუსტაფა ქემალ ფაშას ლენინისადმი თანამშრომლობის ოფიციალურად მოთხოვნის შემდეგ განვითარებული მოვლენები. აღნიშნულ თავში აღწერეთ ოფიციალური შეხვედრების დინამიკა, წარმოვადგინეთ ოფიციალური მომოწერა და ნოტები. სადისერტაციო

თემაში წარმოდგენილი ჰიპოთეზების დასადასრუტებლად ამ თავში ყურადღება გავამახვილებთ თურქულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში არსებულ თეორიებზე, რომელიც დაგვეხმარა ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციაში.

თავი VI - მოსკოვის კონფერენცია.

წინამდებარე თავში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ანგორას მთავრობასა და საბჭოთა რუსეთის მთავრობას შორის მოსკოვში მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკებების დინამიკა. სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ვითარების შესაფასებლად დაგვეხმარა მეჯლისის საიდუმლო სხდომების ოქმები და საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ანგორის მთავრობისადმი მიმოწერა. მოსკოვის მოლაპარაკებების მიმდინარეობისას საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს ვანისა და ბითლისის ტერიტორიების სომხეთისათვის დათმობა მოითხოვა. ანგორის მთავრობამ ამის საპასუხოდ ყარსის აღების გადაწყვეტილება მიიღო. ამავდროულად, დიდ ეროვნულ კრებაზე მიმდინარეობდა მსჯელობა არტაანისა და ბათუმის ოლქების დაპყრობის შესახებ. ანგორის მთავრობაში აქტიურად განიხილებოდა „ეროვნული აღთქმით“ გათვალისწინებული საზღვრების აღდგენის საკითხი, რომელიც ზუსტად ყარსს, არტაანს, ართვინსა და ბათუმის ოლქებს მოიცავდა. რუსეთ-ოსმალეთს მოლაპარაკებების დაწყების წინ საქართველოს მთავრობა ბეწვის ხიდზე გადიოდა. უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი პოლიტიკოსები იმედს ოსმალეთზე ამყარებდნენ, მაშინ, როდესაც ეს უკასკნელი საბჭოთა რუსეთისგან დახმარებას ითხოვდა. საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის დაწყებისთანავე ოსმალეთის ჯარი ბათუმში შევიდა, თუმცა, იქ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან მოსკოვში „მეგობრობისა და ძმობის შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ ბათუმი საქართველოს საზღვრებში დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ გაფორმდა ყარსის ხელშეკრულება, რომელშიც ორ სახელმწიფოს შორის ტერიტორიული საზღვრების დემარკაცია საბოლოოდ დასრულდა.

დასკვნა.

პირველ მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიას მცდარი წარმოდგენა შეექმნა საკუთარ შესაძლებლობებზე. „ახალგაზრდა თურქების“ სახით ახალგაზრდა, მეტნაკლებად ნაციონალიზმით შთაგონებული თაობა მოვიდა ხელისუფლებაში. შედეგად, სრულად კონსტიტუციური სისტემა ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ სისტემამ დიდი ხანი ვერ იარსება. ახალგაზრდა თურქებმა სულ რამოდენიმე წელიწადში სისტემა ერთპარტიულ დიქტატურად აქციეს. სათავეში ერთობისა და პროგრესის პარტია მოვიდა, რომლის ლიდერები პან-თურანული იდეოლოგიით იყვნენ შეპყრობილი, სურდათ „დიდი თურანის“ აღდგენა, ცდილობდნენ სამხრეთ და ჩრდილო-სამხრეთ საზღვრები საკუთარი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ. „დიდი თურანი“, რომლის აღდგენასაც პან-ისლამისტები ოცნებობდნენ, კავკასიას, ყირიმს, ცენტრალურ აზიას, ასევე, ირანსა და ავღანეთსაც კი მოიცავდა. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც რუსეთის სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა სამშვიდობო დეკრეტი გამოსცა, ბოლშევიკური რუსეთი უარს ამბობდა ოსმალეთის მიმართ იმპერიალისტური ინტერესების განხორციელებაზე, როგორც იყო კოსტანტინოპოლის დაპყრობა და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გავლენის მოპოვება. შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ლიდერებმა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე და თავისი მოთხოვნები წამოაყენეს. ოსმალები 1877-1878 წელს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, სამი სანჯაყის : ყარსი, არტანისა და ბათუმის ოსმალეთის საზღვრებში მოქცევას და კავკასიის ფრონტიდან რუსული ჯარების მთლიან გაყვანას ითხოვდნენ, რაზეც ბოლშევიკები იძულებული გახდნენ დათანხმდებოდნენ და საზავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს. პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა მუდროსის დროებითი ზავის(1918 წლის 30 ოქტომბერი) შემდეგ, როდესაც ოსმალეთის სახელმწიფო რთულ მდოგმარეობაში აღმოჩნდა, ანტანტის სახელმწიფოებმა მოახდინეს ქვეყნის დანაწილება და ოსმალეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, დამარცხდა“ერთიანობისა და

პროგრესის“ პარტია, რომლის ლიდერები გერმანიაში გაიქცნენ. აღსანიშნავია, სწორედ ეს ლიდერები იდგნენ საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის მოლაპარაკებების დაწყების ავანგარდში.

1919 წელს დაწყებულ თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ქარიზმატული, ჭკვიანი და პრინციპული ლიდერი- მუსტაფა ქემალ ფაშა, რომლის მოქნილი პოლიტიკის დამსახურებით თურქეთი იქცა თანამედროვე, წარმატებულ ქვეყნად. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ლიდერთა შორის გამორჩეული ადგილი ქიაზიმ ყარაბეჯირს ეჭირა, რომელიც მუსტაფა ქემალ ფაშას მეტოქედაც მოიაზრებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ხისტი და სხარტი გადაწყვეტილებების წყალობით, რომელიც ხშირად ანგორის მთავრობის პოლიტიკასთან წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდა, აღმოსავლეთის ფრონტზე პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებების მოპოვება შეძლო.

საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ორმხრივი ინტერესით იყო განპირობებული. ქემალისტებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაგვირგვინებლად ბრძოლისუნარიანი არმია და ფინანსური რესურსი ესაჭიროებოდათ. მუსტაფა ქემალ ფაშა კარგად იაზრებდა, რომ ბოლშევიკებთან პოლიტიკურ ალიანსში შესვლა თურქეთისთვის სახიფათო იყო, მაგრამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ქემალისტებს ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდათ. ბოლშევიკებს კი, ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „მსოფლიო მჩაგრველი იმპერიალისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციური იდეებისა და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელების კარგ პერსპექტივად ესახებოდათ, გარდა იმისა, რომ ქემალისტები სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზიას უკვე აღარ აცხადებდნენ და რუსეთმა ადვილად შეძლო სამივე რესპუბლიკის გასაბჭოება.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა:

1. Ottoman policy in the South Caucasus - Trabzon and Batumi Conferences (1917-1918), 4th International Conference in Social Sciences, Athens, Conference Proceedings DOI: <https://www.doi.org/10.33422/4th.icsha.2023.04.008>
2. The Secret Diplomacy of Turk Nationalists and The Soviets In 1919, The 5th International Conference in Social Sciences, Paris, Caucasus Journal of Social Sciences, Vol. 16 No. 1 (2023)
3. ანგორის მთავრობის დიპლომატიის მოგონებები საქართველოს შესახებ (1920-1921 წწ.), II საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია“, კონფერენციის მოხსენებათა კრებული, 2023

University of Georgia

School of Arts and Humanities

PhD Program in History

Manuscript Copyright Protected

Tea Meshvelishvili

**Relations of the Ottoman Empire and the Angora government with Soviet
Russia in 1917-1921**

Synopsis

Of the thesis submitted on partial fulfillment for obtaining

academic degree of Doctor of History

(Specialty - **0222.1.1** - History)

Tbilisi

2024

The doctoral dissertation has been written at the Department of History, School of Arts and Humanities, University of Georgia.

Academic supervisor	Zurab Batiashvili Doctor of History, Associated Professor
Academic Supervisor	Salih Ucak Doctor of Philological Sciences, Associate Professor
Internal expert	Giorgi Sordia Doctor of History, Associated Professor
Invited Expert:	Roin Kavrelishvili Doctor of History, Professor
Invited Expert	Zaza Tsurtsumia, Doctor of History, Professor
Chairman of the Board	Tsira Chikvaidze, Doctor of History, Professor
Council member	Lali Pirtskhalava, Doctor of History, Professor

The dissertation defense will be held in 2024, 8 April

Address: Tbilisi, Kostava 77a, auditorium #519.

The dissertation can be viewed in the library of the University of Georgia.

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia.

The synopsis was sent 29 February, 2024

Secretary of Dissertation Council Natia Manjikashvili

Importance and Relevance of the research topic:

Following the Bolshevik coup between 1917 and 1918, the power dynamics in the South Caucasus underwent a significant change. The Young Turks government, which rose to power in the Ottoman Empire, had aspirations of controlling not only the Caucasus but also Crimea and Central Asia. After the publication of the peace decree by Soviet Russia, the Ottomans started peace negotiations in the South Caucasus. However, this was a trick and, in fact, the "Young Turks" government, informed by pan-Turanian ideas, planned to restore the "Greater Turan", which should stretch from the Caucasus to Central Asia. The Ottoman government attempted to apply the principle of self-determination of nations, which was announced by Soviet Russia. As the Brest-Litovsk peace negotiations began, the Ottoman government demanded the withdrawal of Soviet Russian troops from the territories that were lost as a result of the Russo-Ottoman war in 1877-1878. The Ottomans had to resist the South Caucasus Commissariat, which made the years of 1917-1918 particularly difficult for them. Following the Declaration of Independence, the republics of the South Caucasus were faced with the challenge of repelling the aggressive imperialist actions of the Ottoman Empire and Soviet Russia. However, the situation changed after the temporary armistice of Mudros on October 30, 1918, when the Entente countries divided the Ottoman territories. At this particular moment, Mustafa Kemal and his associates emerged on the political scene, and the national liberation movement commenced in the Ottoman Empire. To succeed in their cause, the Kemalists required an ally who shared their interests and could provide dependable support. During the fight against imperialism, Soviet Russia initiated an ideological propaganda campaign among Muslim peoples which proved to be crucial for the success of the struggle. Despite being in a difficult position due to the serious threat of the White movement on its southern borders, Soviet Russia was the only reliable guarantee for the success of the struggle. The Bolsheviks saw the national liberation movement in Anatolia as a way to promote socialism. They found

the idea of propagating their ideology to fight against imperialism and protect oppressed nations quite appealing. As a result, the Bolshevik government formed an alliance with the Kemalist Turks, driven by mutual interest. This alliance had a significant impact on the world order and determined the fate of the republics in the South Caucasus. Soviet Russia was able to quickly establish Soviet rule in the South Caucasus republics, while the Angora government was compelled to abandon its plans of territorial expansion under the "national covenant" in exchange for assistance.

